

სატყუო ენერგეტიკული კრიზისის აღმოფხვრა ბიომასის მდგრადი გამოყენებით

პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია



2016

სატყუო ენერგეტიკული კრიზისის
აღმოფხვრა ბიომასის მდგრადი გამოყენებით

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: მურმან მარგველაშვილი, რევაზ გეთიაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: მურმან მარგველაშვილი, რევაზ გეთიაშვილი

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სოციალური მიზნით საქართველოს ტყეების მასშტაბურმა ექსპლოატაციამ, რომელიც ბოლო 25 წელია მიმდინარეობს, ქვეყანა მწვავე ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული გამოწვევების წინაშე დააყენა.

ტყის მართვის სტრუქტურებთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს რეგიონებში (აჭარის გამოკლებით) მცხოვრები 400 ათასზე მეტი ოჯახის მიერ სათბობი შეშის წლიური ათვისების მაჩვენებელი 2,400,000 მ³-ს აღემატება. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეროვნული სატყეო სააგენტო წლიურად 600,000 მ³ საშუა რესურსს გამოყოფს, რაც საერთო მოთხოვნის მხოლოდ 25%-ს აკმაყოფილებს. დარჩენილი 300,000 ოჯახი იძულებულია, სიცოცხლისთვის აუცილებელი 1,800,000 მ³ საშუაზე ხე-ტყე უკანონოდ მოიპოვოს. დამატებით, შეშის დიდ მოცულობას მოიხმარს კერძო სექტორი (სასტუმროები, კვების ობიექტები) და საბიუჯეტო ორგანიზაციები.

შეშა, რომელიც ქვეყნის მნიშვნელობით მეორე ენერგეტიკული რესურსია, ცხადად არ შედის ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციაში.

სწრაფი და ეფექტური სახელმწიფო ღონისძიებების გატარების გარეშე ტყეების დეგრადაცია შეუქცევადი გახდება, რაც გამოიწვევს სტიქიური პროცესების მეტ გააქტიურებას, რეგიონების დაცლას მოსახლეობისგან და გაზრდის მოსახლეობის სათბობი რესურსის გარეშე დარჩენის რისკს. უკვე სახეზეა სათბობი შეშის მწვავე დეფიციტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

შეშის დეფიციტის აღმოფხვრა კომპლექსური პრობლემაა, რომლის გადაჭრაც, სატყეო და გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესებასთან ერთად, ენერგეტიკულ, სოციალურ და რეგიონული განვითარების პოლიტიკებსაც მოიცავს. პრობლემის გადაწყვეტას ასევე ესაჭიროება ნარჩენების მართვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებთან თანამშრომლობის პროგრამა. ასევე საჭიროა, ჩამოყალიბდეს განახლებადი ენერჯის გამოყენების ტექნოლოგიებზე მომუშავე ბიზნესკომპანიების ხელშემწყობი გარემო.

პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია ორი მეთოდით, ესენია:

- შეშაზე მოთხოვნილების შემცირება ეფექტიანობის გაზრდით, რაც გულისხმობს შეშის რაციონალურ გამოყენებას, ეფექტური შეშის ღუმელების დანერგვას, შენობების დათბუნებას და ამ კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.
- შეშის ჩანაცვლება ალტერნატიული სათბობით, რაც ბუნებრივ გაზთან ერთად თანამედროვე მყარი ბიოსანვავის გამოყენებას გულისხმობს – პელეტების, ბრიკეტების ან ნაფოტების სახით.

ამისათვის აუცილებელია:

მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში გაინეროს კრიზისის დაძლევის მოკლე და საშუალოვადიანი გეგმები;

ჩამოყალიბდეს საქართველოში ბიომასის გამოყენების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის ნაწილი გახდება;

ბიზნესის ხელშეწყობის არსებულ პროგრამებში „ანარმოე საქართველოში“, „სტარტაპ საქართველო“, ასევე ინიციატივების ხელშეწყობის სხვა პროგრამებსა და გრანტებში, ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვროს განახლებადი ენერჯის განვითარებაზე და ტექნოლოგიებზე მომუშავე ბიზნესკომპანიების სტიმულირება;

ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგეტიკული სტრატეგიისა და განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სრულფასოვნად გაითვალისწინოს შეშა, როგორც სიდიდით მეორე ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსი;

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყონ შეშის მოპოვების ორგანიზება და უკანონო ჭრაზე კონტროლის გამკაცრება, რომლის განხორციელების ეფექტური მექანიზმი შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის აღება ოპტიმალური საშეშე რესურსის მდგრად მოპოვებაზე, დამზადებასა და გაყიდვაზე; აგრეთვე, ტყიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანის და სათბობის ნედლეულად გამოყენების ხელშეწყობა.

ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია, ჩამოყალიბდეს და ამუშავდეს სამთავრობო საკოორდინაციო საბჭო შესაბამისი სამინისტროების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მონაწილეობით, რომლის საქმიანობის კოორდინაციას მოახდენს სახელმწიფო ეკონომიკური საბჭოს აპარატი.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge